ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-0120199738**
თარიღი: **17/07/2020**
პინი: **7540**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 10 ივლისის N61-012019210 (17-01201921267-60 10.07.2020) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, **ფხოვის ქუჩაზე, 01.15.04.020.016** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების წინ 53 კვ.მ. ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

გაცნობებთ, რომ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N25 16.07.2020 წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, **ფხოვის ქუჩაზე, 01.15.04.020.016** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების წინ 53 კვ.მ. ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციით: დასაშვებია ღია კაფეს მოწყობა მსუბუქი სახის ავეჯით, როგორც დროებითი ღონისძიება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ლუკა ცხადაია

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი